**სოფიკო ბეგაშვილი**

**ტექნოლოგიებისა და ხელოვნების გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი ვარშავაში, პოლონეთი**

29 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით, Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის აფილირებულმა ასისტენტ-პროფესორმა სოფიკო ბეგაშვილმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში ტექნოლოგიებისა და ხელოვნების გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში, ვარშავაში, პოლონეთში.

ვიზიტის ფარგლებში მონაწილეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის ორი კამპუსი და მოისმინეს პრეზენტაცია უნივერსიტეტის ისტორიის, განვითარების, ძირითადი მიმართულებების, არსებული გამოწვევებისა და სამომავლო მიზნების შესახებ.

კვირის განმავლობაში გაიმართა რამდენიმე თემატური შეხვედრა, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ. კულტურული პროგრამის ფარგლებში მონაწილეებმა მოინახულეს მუზეუმი და დაიგეგმა ვარშავის ძველი ქალაქის გასვლითი ტური.

აღნიშნული ვიზიტი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტრუქტურას, სწავლების პრაქტიკას, არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს. ასევე შედგა პროფესიული კონტაქტების დამყარება, რაც სამომავლო საერთაშორისო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განვითარების საფუძველს ქმნის.

მობილობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჩართულობის გასაფართოებლად და Erasmus+ პროგრამის ფარგლებში არსებული პარტნიორული კავშირების გასამყარებლად.